

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის  
რექტორის  
ბრძანება № 01-01/23

თბილისი

“ 18 “ მარტი 2019 წ.

რიგგარეშე მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილების და წარმოსადგენი  
დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთუნი-ს წესდების მე-5 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 14 მარტის № 191/ი ბრძანების, გთუნი-ს მობილობის და კრედიტების აღიარების წესის, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს 2018-2019 სასწ/წ რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადები და ადგილები:

**ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი**

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) 40 - ადგილი;
- ტურიზმი 30 - ადგილი;
- ჟურნალისტიკა 30 - ადგილი;

2. მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთათვის ვაკანტური ადგილების შესახებ წერილობითი განაცხადის ცენტრში (თანდართული ელექტრონული ფორმა) წარდგენის ვადა - **2019 წლის 22 მარტიდან 2019 წლის 27 მარტის ჩათვლით;**

3. 2018-2019 სასწავლო წლის რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა უნივერსიტეტში რეგისტრაციის ვადები:

- ✓ რიგგარეშე მობილობით გადმომსვლელი სტუდენტის უნივერსიტეტში გამოცხადების და აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა - **2019 წლის 29 მარტიდან - 04 აპრილის ჩათვლით;**
- ✓ უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობით გადმომსვლელ სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა **2019 წლის 29 მარტიდან - 04 აპრილის ჩათვლით;**
- ✓ რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სამართლებრივი აქტების პროექტების (თანდართული ელექტრონული ფორმით) ცენტრში წარდგენის ვადა - **2019 წლის 05 აპრილი;**
- ✓ სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა - **2019 წლის 15 აპრილის ჩათვლით;**

4. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:
  - ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
  - ✓ სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
  - ✓ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - ✓ სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
  - ✓ სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).
5. მობილობით განპირობებული განსხვავებული კრედიტების ათვისება მოხდეს უფასოდ
6. დოკუმენტების მიღება დაევალოს რექტორის აპარატის უფროსს
7. უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით
8. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას
9. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი